შეთანხმების აქტი N01/03-1

04.01.2018 წლის N01/03 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი **24 აპრილი 2018 წელი**

ერთი მხრივ,
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის - **თეიმურაზ მღებრიშვილის** სახით,
მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის N83ა,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204564934,
სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22,
ა/ა GE24NB0330100200165022
(შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორე მხრივ,
შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი"
წარმოდგენილი დირექტორის - **მამია ზოდელავას** (პ/ნ: 01008004116) სახით,
მისამართი: ქ.თბილისი,თევდორე მღვდლის N13,
ტელ: 225 30 44,
საიდენტიფიკაციო კოდი: 204966858,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი",
ბანკის კოდი: BAGAGE22,
IBAN: GE90BG0000000121232700
(შემდგომში „მიმწოდებელი")

2018 წლის 4 იანვარს გაფორმებული N01/03 ხელშეკრულების მე-10 მუხლის, 2018 წლის 19 აპრილის N346884 მოხსენებითი ბარათის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-13 მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება 2018 წლის 4 იანვრის N01/03 ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტში, კერძოდ, ხელშეკრულების საერთო ღირებულება შემცირდეს 680.00 ლარით და 3.1 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: <u>320.00 ლარს (სამას ოცი ლარი და 00 თეთრი)</u>".**
2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია 2018 წლის 23 აპრილიდან, წარმოადგენს 2018 წლის 4 იანვრის N01/03 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.
4. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

წინადებარე შეთანხმების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	**შპს „მ.ზოდელავას ჰემატოლოგიური ცენტრი"**
მინისტრის მოადგილე	დირექტორი
თეიმურაზ მღებრიშვილი	**მამია ზოდელავა**

MOC 5 18 00346884

19/04/2018

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილეს,
ბატონ თეიმურაზ მღებრიშვილს

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის,
ზურაბ ფუტკარაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო თეიმურაზ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ბრალდებულთათვის/მსჯავრდებულთათვის სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებთან 2018 წლის დასაწყისში გაფორმებული მოკლევადიანი (ლიმიტირებული) ხელშეკრულებების შესაბამისად, სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებთან შეჯერებული ინფორმაციის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ხელშეკრულებებიდან ათვისებული თანხებისა და დარჩენილი ნაშთების შესახებ ინფორმაციას ცხრილის სახით.

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს გაატაროს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ცენტრალური აპარატი / სამედიცინო დეპარტამენტი
უფროსის მოადგილე
ზურაბ ფუტკარაძე